

ნატა ახმეტელი, პესიკ ლორთქიფანიძე

ისტორიის
მოკლე კურსი
აბიტურიენტებისათვის

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე

ისტორიის მოკლე კურსი აკიტივიზაციისათვის

რედაქტორი სოლომონ ნოზაძე, ლალი ბაქრაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2020
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-660-5

www.diogene.ge

1. ქვის ხანა საქართველოში. ბრინჯაოს ხანა საქართველოში	7
2. ძველი აღმოსავლეთი.....	8
ეგვიპტე	8
ძველი შუამდინარეთის ცივილიზაცია	9
ასურეთის სამეფო.....	10
ხეთების (ხათის) სამეფო	11
ურარტუ.....	11
დიაოხი და კოლხა.....	12
3. აქემენიანური ირანი	12
კიროსი.....	12
კამბისე	13
დარიოს I.....	13
ქსერქსე.....	14
4. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები და კოლონიზაცია.....	15
5. ძველი საბერძნეთი	16
ბერძნული კოლონიზაცია.....	16
ბერძნული კოლონიები საქართველოში	17
ათენი	17
სოლონის რეფორმები	18
კლისთენეს მმართველობა	18
პერიკლე და ათენის „ოქროს ხანა“	19
სპარტა.....	20
6. ბერძენ-სპარსელთა ომი	21
7. პელოპონესის ომი	22
8. ალექსანდრე მაკედონელი და ელინისტური სამყარო	23
ელინისტური ეპოქის დასაწყისი.....	25
9. ქართული სახელმწიფოები ელინისტურ ხანაში	26
ქართლის სამეფოს შექმნა.....	26
10. ძველი რომი.....	28
რომის წარმოშობა, მეფეთა ხანა. რომის რესპუბლიკა.....	28
11. რომაული დაპყრობები - პუნიკური ომები, ომი სელევკიდებთან	29
I პუნიკური ომი.....	29
II პუნიკური ომი	30
ომი სელევკიდებთან	31
III პუნიკური ომი	31
12. მითრიდატეს ომები და საქართველო	32
მითრიდატეს I და II ომები.....	32
მითრიდატეს III ომი და საქართველო.....	32
13. რესპუბლიკური მმართველობის დასასრული რომში	
I ტრიუმვირატი	33
იმპერიის დამყარება	34
პრინციპატი	34
14. დიოკლეტიანეს რეფორმები. დომინატი.....	35
15. რომის იმპერია და საქართველო. ურთიერთობა პართიასა და სასანურ ირანთან	36
რომი და ქართლის სამეფო I საუკუნეში	36
რომი და ფარსმან II ქველი	37
სასანური ირანის ჩამოყალიბება. საშინაო და საგარეო პოლიტიკა	38
სასანური ირანის საგარეო პოლიტიკა.....	38
16. ქრისტიანობის წარმოშობა და გავრცელება	38
17. კონსტანტინე I დიდი. მილანის ედიქტი. საეკლესიო კრებები (I – ნიკეის, III – ეფესოს, IV – ქალკედონის)	39
III და IV მსოფლიო საეკლესიო კრება	40
18. ქართლის გაქრისტიანება	40

19. რომის იმპერიის დაშლა. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა	41
ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბება	41
ხალხთა დიდი გადასახლება და ევროპის პოლიტიკური რუკა V-VI სს.-ში.....	41
დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა.....	42
ევროპის პოლიტიკური რუკა	42
ფრანკთა სამეფოს ჩამოყალიბება	43
20. ირანი და ბიზანტია მახლობელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში V- VI სს. I ნახევარში	43
387 წლის ზავი და ირანი და ბიზანტია V საუკუნეში	43
ქართლის სამეფო V საუკუნეში. ვახტან გორგასალი	44
მეფობის გაუქმება ქართლში	45
ეგრისის სამეფო და ბიზანტია V საუკუნეში. „დიდი ომიანობა“	45
დიდი ომიანობა.....	45
იუსტინიანე I.....	46
ერისმთავრობის დანესება ქართლში.....	47
21. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა ქართლში.....	48
22. ხატმებრძოლობა ბიზანტიაში. VII მსოფლიო საეკლესიო კრება	48
23. ფრანკთა სამეფოს სათავეში კაროლინგების დინასტიის მოსვლა.	49
პაპობა. პაპის ოლქის ჩამოყალიბება.....	49
კარლოს დიდი. ფრანკთა იმპერია.....	50
ფრანკთა იმპერიის დაშლა	51
24. „საღვთო რომის იმპერია“ და პაპიზმი.....	51
გრიგორი VII და ჰაინრიხ IV	52
25. ისლამის ჩამოყალიბება	53
სახალიფო. სუნიტები და შიიტები.....	53
26. არაბები და მათი დაპყრობები.....	54
არაბები ევროპაში.....	55
რეკონსკისტა	55
27. არაბობა საქართველოში.....	56
28. არაბული კულტურა	57
29. ქართული სამეფო-სამთავროები VIII-X საუკუნეებში	57
30. საქართველო X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში	59
დავით III კურაპალატი. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები	59
საქართველოს გაერთიანება.....	60
გიორგი I	61
ბაგრატ IV	61
31. თურქ-სელჩუკები	62
თურქ-სელჩუკები საქართველოში.....	62
32. დავით აღმაშენებელი	63
33. ჯვაროსნული ლაშქრობები.....	66
წინაპირობა და მიზეზები.....	66
I ჯვაროსნული ლაშქრობა.....	67
II, III და IV ლაშქრობები.....	67
რაინდული ორდენები	68
34. საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს.....	69
დემეტრე I და გიორგი III.....	69
თამარ მეფე	70
საგარეო პოლიტიკა	71
35. სახელმწიფოებრივი წყობა საქართველოში.....	72
36. ევროპული წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ევროპაში	73
პარლამენტი ინგლისში.....	73
გენერალური შტატები საფრანგეთში.....	74
კორტესი ესპანეთში.....	74
ლანდტაგი გერმანიაში	74
37. მონღოლთა იმპერია	74
38. საქართველო XIII-XIV საუკუნეებში	75
ჯალალ ედ-დინის ლაშქრობები. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ.....	75
39. გიორგი V ბრწყინვალე და მონღოლთა ბატონობის დასასრული.....	78

40. ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება (საშინაო და საგარეო პოლიტიკა).....	79
41. თემურ-ლენგის ლაშქრობები	80
42. კათოლიკური ევროპა და ბიზანტიის დაცემა	81
43. ანტიოსმალური კოალიცია. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად	83
44. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.....	83
45. შუა საუკუნეებიდან ახალი დროისკენ – ევროპა	84
უნივერსიტეტების ხანა ევროპასა და აღმოსავლეთში.....	84
ჰუმანიზმი	85
აღორძინება	85
46. რეფორმაცია ევროპაში	87
ლუთერანობა	88
კალვინიზმი.....	88
ანგლიკანური ეკლესია.....	88
47. კონტრრეფორმაცია. იეზუიტების ორდენი.	89
48. კათოლიკე მისიონერები საქართველოში	89
49. რელიგიური ომები ევროპაში	90
რელიგიური ომები საფრანგეთში (1562-1598).....	90
50. ოცდაათწლიანი ომი (1618-1648 წწ.).....	91
51. ნიდერლანდების რევოლუცია	92
52. ინგლისის რევოლუცია	93
53. აბსოლუტიზმი საფრანგეთში.....	95
54. ოსმალეთის გაძლიერება. სეფიანთა ირანის ჩამოყალიბება.	96
ოსმალეთის გაძლიერება.....	96
სეფიანთა ირანის ჩამოყალიბება.....	97
ირან-ოსმალეთის პირველი დაპირისპირება	97
55. საქართველო XVI-XVII საუკუნეებში. ბრძოლა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის წინააღმდეგ	98
ირან-ოსმალეთის II ომი (1578-1590 წწ.) და საქართველო	98
ირან-ოსმალეთის III ომი. შაჰ-აბასი და საქართველო.....	98
ლუპანტოს ბრძოლა. ოსმალეთი XVII საუკუნის 80-90-იან წლებში	99
ვენის მეორე ალყა. „საღვთო ლიგა“.	100
56. მოსკოვის სამთავროს ჩამოყალიბება.....	100
ივანე IV მრისხანე (1547-1584 წწ.).....	100
ლივონიის ომი და რეჩ-პოსპოლიტა	101
57. პეტრე I (1682-1725 წწ.).....	102
საგარეო პოლიტიკა	102
58. ვახტანგ VI	103
59. ერეკლეს ეპოქა	104
60. აშშ-ის ჩამოყალიბება.....	105
61. განმანათლებლობა	106
განმანათლებლობის ხანის იდეების გავლენა საქართველოზე.....	107
62. საფრანგეთის რევოლუცია	108
63. ნაპოლეონის ომები.....	108
ვენის კონგრესი	111
64. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.....	112
რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. გიორგი XII-ის მმართველობა.....	112
დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმება	113
აჯანყებები საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ მესამედში	114
კახეთის 1802 და მთიულეთის 1804 წლების აჯანყებები	114
1832 წლის შეთქმულება	115
65. რუსული მმართველობა და მისი რეფორმირება	116
მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მმართველობა.....	116
66. ალექსანდრე II-ის რეფორმები	117
საგლეხო რეფორმა	117
სასამართლო, საერო და საქალაქო რეფორმები	118
67. რუსეთ-ოსმალეთის ომები და საქართველო	119
ყირიმის ომი – 1853-56 წწ.	120
1877-1878 წლების ომი	120

68. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულების მოღვაწეობა	121
69. რევოლუციები ევროპაში XIX საუკუნეში	122
1830-31 წლების რევოლუციები	122
ივლისის რევოლუცია საფრანგეთში	122
ბელგიის რევოლუცია	123
პოლონეთის აჯანყება	123
საბერძნეთის რევოლუცია.....	123
1848 წლის რევოლუციები.....	124
70. გერმანიის და იტალიის გაერთიანება	127
71. სამოქალაქო ომი აშშ-ში	129
72. I მსოფლიო ომი.....	130
სამხედრო ბლოკების შექმნა და გამომწვევი მიზეზები	130
ქართველები I მსოფლიო ომში.....	133
73. რუსეთის რევოლუცია	133
74. სამხრეთ კავკასია და ბრესტის ზავი	134
75. I მსოფლიო ომის დასასრული.....	136
პარიზის საზავო კონფერენცია	136
76. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა.....	138
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა	139
საქართველოს საკითხი ვერსალის საზავო კონფერენციაზე	141
77. საქართველოს ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ	141
78. საბჭოთა კავშირის შექმნა	142
79. 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში	142
საბჭოთა კავშირი 20-30-იან წლებში და საქართველო მის შემადგენლობაში.....	143
80. ევროპა I მსოფლიო ომის შემდგომ.	145
იტალია და გერმანია 20-30-იან წლებში	145
81. სამოქალაქო ომი ესპანეთში	146
82. „დიდი დეპრესია“ და ფ. რუზველტის „ახალი კურსი“	147
83. მეორე მსოფლიო ომის წინაპირობები	148
84. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი	149
სსრკ-ფინეთის ომი. სსრკ-ს მიერ ბალტიის რესპუბლიკებისა და დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია.....	150
დანისა და ნორვეგიის დაპყრობა.....	151
ომი დასავლეთის ფრონტზე.....	151
865. გერმანიის თავდასხმა სსრკ-ზე და სამხედრო ოპერაციები გერმანია-სსრკ-ს ფრონტზე	152
მეორე მსოფლიო ომის მეორე ეტაპი (1941-1943 წწ.)	152
იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე.....	153
ლენდ-ლიზის პროგრამა.....	153
86. თეირანის, იალტის და პოტსდამის კონფერენციები. ოპერაცია „ოვერლორდი“.....	154
87. II მსოფლიო ომის დასასრული.....	155
ომი იაპონიასთან	156
88. ქართველები II მსოფლიო ომში.....	156
აჯანყება ტექსელზე.....	157
89. მეორე მსოფლიო ომის შედეგები.....	157
გაეროს შექმნა	158
90. ცივი ომის დასაწყისი.....	158
91. ნატო და ვარშავის პაქტის ქვეყნები	160
92. ცივი ომის ეპოქის ომები: კორეა, ვიეტნამი, კარიბის კრიზისი, ავღანეთი.....	160
93. ანტისაბჭოთა მოძრაობა აღმოსავლეთ ევროპაში	161
ანტისაბჭოთა გამოსვლა უნგრეთში. ბუდაპეშტი – 1956 წელი	162
„პრადის გაზაფხული“	162
94. 1956 წლის 9 მარტის გამოსვლა თბილისში	163
95. უძრაობის ეპოქა საბჭოთა კავშირში.....	163
96. ეროვნული მოძრაობები და სსრკ-ის დაშლა	164
1989 წლის 9 აპრილი თბილისში	165
97. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.....	165

1. ქვის ხანა საქართველოში. ბრინჯაოს ხანა საქართველოში

ქვის ხანა. კაცობრიობის ისტორიაში უძველეს და ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს მეცნიერებმა „ქვის ხანა“ უწოდეს, რადგან ამ პერიოდში ადამიანი იარაღს ძირითადად ქვისგან ამზადებდა. ქვის ხანას ისტორიკოსები სამ პერიოდად – პალეოლითად (ძველი ქვის ხანად), მეზოლითად (შუა ქვის ხანად) და ნეოლითად (ახალი ქვის ხანად) ყოფენ. პალეოლითი დაახლოებით 2,5 მლნ. წლის წინ დაიწყო და ძვ. წ. XII ათასწლეულამდე გაგრძელდა. ის, თავის მხრივ, ქვედა, შუა და ზედა პალეოლითად იყოფა. პალეოლითის დროის ადამიანი გამოქვაბულში ცხოვრობდა. მის საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა ქვის იარაღის დამზადებას, რადგან იგი საკვების მოპოვებისა და თავდაცვის ძირითადი საშუალება იყო, თუმცა იარაღი ძვლისა და ხისგანაც მზადდებოდა. პირველყოფილი ადამიანი საკვებს შემგროვებლობითა და ნადირობით მოიპოვებდა; გარდა ამისა, მეთევზეობასაც მისდევდა. ზედა პალეოლითის პერიოდში დედამიწაზე დიდი კლიმატური ცვლილება, გამყინვარება მოხდა. გამყინვარებამ ადამიანები აიძულა, მაღალმთიან ხეობებში გამოქვაბულები დაეტოვებინათ და თავშესაფარი დაბლობ ადგილებში ეძებნათ, სადაც საკვების მოპოვება შედარებით იოლი იყო. საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში, პალეოლითი უძველესი და ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი იყო (დმანისში აღმოჩენილია ადამიანის ჩონჩხის ნაწილები – თავის ქალები, კიდურების ფრაგმენტები. ვარაუდობენ, რომ ისინი დაახლოებით 1,8 მლნ. წლის წინ მცხოვრებ ადამიანებს ეკუთვნოდა). ძვ. წ. XII ათასწლეულში პალეოლითი მეზოლითამ შეცვალა. მეზოლითის ხანაში გამყინვარება დასრულდა და დედამიწაზე თანამედროვესთან მიახლოებული კლიმატური პირობები ჩამოყალიბდა. ამ პერიოდის სადგომები ნაპოვნია როგორც მდინარეთა ხეობებში, სადაც ადამიანი უზრუნველყოფილი იყო წყლითა და თევზით, ისე მაღალმთიან გამოქვაბულებში. ძვ. წ. VIII ათასწლეულში დაიწყო ნეოლითი. საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები სწორედ ნეოლითში მოხდა. დროთა განმავლობაში ადამიანმა ქვის უკეთ დამუშავება ისწავლა და მისგან უფრო სრულყოფილი იარაღი (ხელცულები, მიწის საჩიჩქნი ქვები, კაყის ნამგლისპირები და სხვ.) დაამზადა; დაიწყო ცხოველების (ძაღვის, ღორის, ცხვრის...) მოშინაურება, ისწავლა მინათმოქმედება, თიხისგან ჭურჭლის დამზადება – მეთუნეობა, ძაფის დართვა და ქსოვა, შემდეგ კი – სახლების შენებაც. მონადირე-შემგროვებელი საზოგადოება თანდათან მესაქონლე-მინათმოქმედ, მწარმოებელ საზოგადოებად გადაიქცა, ანუ ადამიანი საკვებს არა მხოლოდ ნადირობით, თევზჭერით ან შეგროვებით მოიპოვებდა, არამედ აწარმოებდა კიდევ მას – მიწის დამუშავების შედეგად მოჰყავდა, მოშინაურებული ცხოველებისგან ლებულობდა (რძეს, რძის პროდუქტს, ხორცს და ა. შ.).

ბრინჯაოს ხანა. ნეოლითის მომდევნო ხანას მეცნიერებმა ბრინჯაოს ხანა უწოდეს. ამ პერიოდში ადამიანმა ბუნებაში პირველი ლითონი – სპილენძი აღმოაჩინა, სპილენძთან სხვა ნივთიერებების შედნობით ბრინჯაო მიიღო, შემდეგ კი მისგან ქვის იარაღზე უფრო სრულყოფილი იარაღი დაამზადა. საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ადგილას აღმოჩენილია ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ნამოსახლარები. ეს არის ხანა, როდესაც ადამიანმა, ქვასთან ერთად, თვითნაბადი სპილენძის გამოყენება დაიწყო, თუმცა სპილენძს ცივი ჭედვით ამუშავებდა, რადგან ლითონის გამოდნობა ჯერ არ იცოდა. ამიტომ მეცნიერები ამ პერიოდს ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდად მიიჩნევენ და მას ენეოლითს (სპილენძ-ქვის ხანას) უწოდებენ. ენეოლითური სოფელი შულავერი შემალეებულ ადგილას მდებარეობდა. აქაურები მრავალი ფორმის სახლებში ცხოვრობდნენ, რომლებსაც გამოუწვავი თიხის აგურით – ალიზით აგებდნენ და გუმბათოვან გადახურვას უკეთებდნენ. სახლების გვერდით 2-3 მეტრი დიამეტრის დამხმარე ნაგებობები და სამეურნეო ორმოები ჰქონდათ წყლისა და პროდუქტების შესანახად. ყველა სახლში თიხის ოვალური კერია იყო მოწყობილი. ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე უკვე ბრინჯაოს ხანა დაიწყო. ადრეული ბრინჯაოს ხანის დასახლებები სამხრეთ კავკასიაში მტკვრისა და არაქსის აუზშია აღმოჩენილი და ამიტომ ამ დროის კულტურას მეცნიერები მტკვარ-არაქსის კულტურას უწოდებენ. ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში, რომელსაც მეცნიერები შუა ბრინჯაოს ხანას უწოდებენ, საქართველოს ტერიტორიაზე ყორღანული სამარხები გავრცელდა, რომლებსაც ქვაყრილით ფარავდნენ. არქეოლოგებ-

მა ყორღანები პირველად სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, თრიალეთში აღმოაჩინეს. ამ კულტურას თრიალეთის კულტურად მოიხსენიებენ. პირველყოფილი ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება ასე განვითარდა: ჯოგი-ოჯახი-გვარი-ტომი. პირველყოფილი რელიგიებია: ანიმიზმი – უსულო საგნების (ქვა, ხე, წყალი) თაყვანისცემა; ტოტემიზმი – ცხოველების თაყვანისცემა; ფეტიშიზმი – საგანი, რომელსაც მაგიური ძალა აქვს (მაგ. ავგაროზი, თილისმა); მაგია – ჯადოქრობა, მკითხაობა, შელოცვა.

2. კველი აღმოსავლეთი

ძველი მსოფლიოს ბევრი ცივილიზაცია მდინარეების სანაპიროებზე აღმოცენდა: ეგვიპტური – ნილოსის, შუამდინარული – ტიგროსისა და ევფრატის, ინდური – ინდისა და განგის, ჩინური – ხუანხესა და იანძის აუზებში. მდინარეებს ისეთი დიდი წვლილი მიუძღვით ამ ცივილიზაციების არსებობასა და განვითარებაში, რომ ხშირად მათ სამდინარო ცივილიზაციებადაც მოიხსენიებენ. მდინარეები ხელს უწყობდა მინათმოქმედებისთვის ვარგისი მიწების მორწყვას, მათ აუზში მდებარე რეგიონებს შორის კომუნიკაციისა და ვაჭრობის განვითარებას.

ეგვიპტე

ძველი ეგვიპტის ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა მდინარე **ნილოსმა**. პირველი დასახლებები უშუალოდ მდინარის გასწვრივ შეიქმნა. სწორედ ამიტომ უწოდა ბერძენმა ისტორიკოსმა **ჰეროდოტემ** ეგვიპტეს „**ნილოსის ნობათი**“. ეგვიპტელთა სამეურნეო ყოფა მთლიანად მდინარე ნილოსის ყოველწლიურ ადიდებაზე იყო დამოკიდებული. ადიდების შედეგად ნილოსი ათასობით კვადრატულ კილომეტრს ტბორავდა. წყლის დონის დაკლების შემდეგ კი მდინარე უამრავ შლამს ტოვებდა. მოსახლეობა იწყებდა ამ შლამიანი მიწის დამუშავებას, რომელიც საუკეთესო იყო სახნავ-სათესად. იმ ადგილებში, სადაც ადიდებული მდინარე ვერ აღწევდა, ეგვიპტელებს წყალი არხებით გაჰყავდათ.


ძვ. წ. IV ათასწლეულში ეგვიპტეში ორი სამეფო ჩამოყალიბდა. ნილოსის სათავეებთან **სამხრეთ, ანუ ზემო, ეგვიპტე** მდებარეობდა, ნილოსის დელტაში კი – **ჩრდილოეთ, ანუ ქვემო**, სამეფო. დაახლოებით **ძვ. წ. 3000** წელს ზემო სამეფოს მეფემ **მენესმა** ქვემო სამეფო დაიპყრო. ერთიანი ეგვიპტის მმართველს **ფარაონი** („დიდი სახლი“) ეწოდა. ამ სახელმწიფომ ყველაზე დიდხანს, სამი ათას წელს, იარსება. ამ ხნის მანძილზე ეგვიპტეში მმართველების, ფარაონების **33 დინასტია** შეიცვალა. ისტორიკოსები დინასტიებს რომაული ციფრებით აღნიშნავენ და ეგვიპტის ისტორიას ძველ, შუა და ახალ სამეფოდ ყოფენ.

III-IV დინასტიების მმართველობის პერიოდი, დაახლოებით ძვ. წ. 2600-2150 წწ., ძველი ეგვიპტის განსაკუთრებული ძლიერების, „აყვავების ხანა“ იყო, რომელსაც „**პირამიდების ეპოქას**“ უწოდებენ. სწორედ ამ ეპოქის ფარაონებმა დაიწყეს პირამიდების მშენებლობა. პირველი იყო ფარაონ **ჯოსერის** პირამიდა, რომელიც პირველი ვეზირისა და არქიტექტორის იმჰოტეპის გეგმით აიგო. მან მშენებლობაში ხისა და თიხის ნაცვლად პირველად გამოიყენა ქვა. IV დინასტიის ხანაში აიგო საყოველთაოდ ცნობილი – ფარაონების **ხეოფსის, ხეფრენისა და მიკერინის პირამიდები** (ადგილმდებარეობის მიხედვით მათ გიზას პირამიდებს უწოდებენ). თუმცა სახელმწიფოს ხაზინა ვეღარ აფინანსებდა გრანდიოზულ მშენებლობებს, ამიტომ მოგვიანო ხანის პირამიდები შედარებით მომცრო ზომისაა. დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს დაიწყო ძველი სამეფოს დაცემა. დაიწყო შინაომები, რომელიც თითქმის 2 საუკუნე გაგრძელდა. ძვ. წ. XX-XVIII სს.-ში კვლავ აღდგა ერთიანი, ძლიერი სამეფო. ამ პერიოდს **შუა სამეფოს** ხანას ეძახიან. ფარაონებმა დედაქალაქი **მემფისიდან თებეში** გადაიტანეს, მიმდებარე ველები კი საკუთარი აკლდამების ასაშენებლად გამოყვეს. თებეს მახლობლად აშენდა ლუქსორისა და კარნაკის შთამბეჭდავი ტაძრები. შუა სამეფოს დაცემა ძვ. წ. XVII-XVI სს.-ში აღმოსავლეთიდან ეგვიპტეში აზიური მომთაბარე სემიტური მოდგმის ტომების **ჰიქსოსების** შემოჭრამ განაპირობა. მათი სამხედრო განვითარება ეგვიპტელებისას აღემატებოდა. ცხენი, სწრაფი საბრძოლო ეტლები და მშვილდ-ისარი ეგვიპტისთვის მანამდე უცნობი იყო. ჩრდილოეთ ეგვიპტის დამპყრობელი ჰიქსოსები სწრაფად მოერგნენ

ეგვიპტის ყოფას, შეითვისეს მისი კულტურა. თუკი ეგვიპტეს მანამდე ურთიერთობა მხოლოდ ლიბიასა და ნუბიასთან ჰქონდა, ამიერიდან აზიის ქვეყნებთანაც დაამყარა ურთიერთობა. ძვ. წ. XVI საუკუნეში თებეს ეგვიპტელებმა განდევნეს ჰიქსოსები. ეგვიპტის ერთიანობა აღდგა. ამ პერიოდს **ახალი სამეფოს** ხანას უწოდებენ. ეგვიპტე ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს იმპერიად გადაიქცა. **თუტმოს III-ის** (ძვ. წ. 1390-1353) არმია და ფლოტი ყოველწლიურად ანყობდა დიდ ლაშქრობებს აზიაში. ეგვიპტელთა სამხედრო ნაწილებმა მდინარე ევფრატამდე მიაღწიეს.

ეგვიპტეში მრავალღმერთიანობა იყო. მათთვის აგებული იყო უამრავი ტაძარი. ამ ტაძრების **ქურუმებმა** დროთა განმავლობაში დიდი გავლენა მოიპოვეს. ისინი ფარაონებსაც კი აღარ ეპუებოდნენ. ქურუმებს დაუბირისპირდა ფარაონი **ამენჰოტეპ IV** (ძვ. წ. 1353-1336). მან და მისმა მეუღლემ ნეფერტიტიმ გადაწყვიტეს, ერთი ღმერთის თაყვანისცემა დაენესებინათ. ერთადერთ ღმერთად ღვთაება **ატონი** გამოაცხადდა, რომელსაც მზის დისკოს სახით გამოსახავდნენ. ახალი ღმერთის პატივსაცემად ფარაონმა სახელი შეიცვალა და **ეხნატონი** დაირქვა, ააშენა ახალი დედაქალაქი (**ახეტატონი**). ფარაონმა უარყო ყველა სხვა ეგვიპტური ღმერთი და მათი სახელის ხსენებაც კი აკრძალა. ეს რეფორმები დროებითი აღმოჩნდა, ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ ქურუმებმა აღადგინეს ძველი ღმერთების კულტი. მათი ბრძანებით ეხნატონისა და ნეფერტიტის სახელები ეგვიპტეში ისევე იდევნებოდა, როგორც მანამდე თავად ისინი დევნიდნენ ეგვიპტურ ღმერთებს.

ეხნატონის რეფორმა **მონოთეიზმის** (ერთღმერთიანობის) შემოღების პირველი წარუმატებელი მცდელობა იყო. ძველ ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ბუნებასა და ადამიანების ცხოვრებას ღმერთები განაგებდნენ. ღმერთები მათ ადამიანების სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რომლებსაც ცხოველის თავები ჰქონდათ. ღმერთები ციურ სხეულებთან, ნილოსთან, რაიმე მნიშვნელოვან საქმიანობასთან იყვნენ გაიგივებული. ეგვიპტელების რწმენით, თუ მიცვალებულის სხეულს კარგად შეინახავდნენ, მისი სული იცოცხლებდა, ამიტომ გარდაცვალების შემდეგ მდიდარი ეგვიპტელების გვამების **მუმფიცირება** ხდებოდა. ეგვიპტელების აზრით, საიქიოში ყველა ვერ მოხვდებოდა. გარდაცვლილთა სულებს ღმერთი **ოსირისი** ასამართლებდა. წესიერი ადამიანის სული საიქიოში ხვდებოდა. ძვ. წ. XI საუკუნიდან ეგვიპტე თანდათანობით დასუსტდა, რის შედეგადაც ძვ. წ. VII ს.-ში ის ჯერ ასურელებმა, ხოლო ძვ. წ. VI ს.-ში ირანელებმა დაიპყრეს.



ძველი შუამდინარეთის ცივილიზაცია

ძველთაგანვე მდინარეებს ევფრატსა და ტიგროსს შორის არსებულ ტერიტორიას **შუამდინარეთს**, ანუ **მესოპოტამიას**, უწოდებდნენ. მესოპოტამია ბერძნული სიტყვაა და ქართულად ორ მდინარეს შორის არსებულ ქვეყანას ნიშნავს. შუამდინარეთი უძველესი დროიდან იყო დასახლებული.

მესოპოტამიაში ორი სხვადასხვა ხალხი მოსახლეობდა: სამხრეთით – **შუმერები** და ჩრდილოეთით – **სემიტები** (აქადელები), რომლებიც აქ სირიიდან მოვიდნენ.

შუმერებს ერთიანი სახელმწიფო არ ჰქონიათ. შუმერების ქალაქები – **ური, ურუქი, ლაგაში, უმა** და სხვები, რომლებიც ადგილობრივი ღვთაებების პატივსაცემად აგებული ტაძრების ირგვლივ იყო გაშენებული, გარშემო არსებული ოლქით პატარ-პატარა სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. შუმერებმა ერთ-ერთ დიდ ცივილიზაციას დაუდეს საფუძველი. გამოიგონეს **ბორბალი, ეტლი, სამეთუნეო ჩარხი** და **გუთანის**. შუმერებმა შექმნეს პირველი კანონთა კრებული, მათემატიკის საფუძველები, რომელსაც სკოლებშიც ასწავლიდნენ. მათ იცოდნენ თვლის ათობითი სისტემა, წილადები, აგრეთვე კვადრატული ფესვის ამოღება და ორუცნობიანი განტოლების ამოხსნა. შუმერების უდიდეს მიღწევად ითვლება

დამწერლობის გამოგონება. ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება **პიქტოგრაფიული** (ხატოვანი) დამწერლობის პირველი ნიმუშები. შუმერები სანერ მასალად თიხას იყენებდნენ. სველ თიხის ფირფიტაზე წერდნენ და აშრობდნენ. ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში შუამდინარეთში ჩრდილოეთიდან სემიტური ტომები შემოიჭრნენ. ისინი ჩრდილოეთ შუამდინარეთში გაბატონდნენ და იქ **აქადის** ქალაქ-სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. ძვ. წ. XXIII ს.-ში ჩრდილოეთ შუამდინარეთში, აქადის სამეფოში, ახალგაზრდა მეფე **სარგონი** გამეფდა. მან შეძლო ძლიერი არმიის შექმნა, შემდეგ კი სამხრეთით შუმერების წინააღმდეგ გაილაშქრა. სარგონმა შუმერთა ქალაქები დაიპყრო და სპარსეთის ყურემდე მიაღწია. შუამდინარეთი ამიერიდან ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში სემიტური წარმოშობის აქადური დინასტია ედგა.

ძვ. წ. XVIII საუკუნეში ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაება ქალაქი **ბაბილონი**. მალე გაერთიანებული სამეფოს ცენტრი სწორედ ბაბილონი გახდა. იგი მესოპოტამიის სავაჭრო, რელიგიურ და სამეცნიერო ცენტრად იქცა. ბაბილონმა შეითვისა შუმერულ-აქადური კულტურა, ქალაქის მფარველი ღვთაება **მარდუქი** მესოპოტამიის წამყვან კულტად ჩამოყალიბდა. ბაბილონის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე **ხამურაბის** პერიოდში (ძვ. წ. 1792-1750 წწ.). მან დაიპყრო მეზობელი ქვეყნები და ხელთ იგდო იმ დროისათვის შუამდინარეთზე გამავალი მთავარი სავაჭრო გზები. ხამურაბმა თავის სამეფოში მრავალი რეფორმა ჩაატარა. მსოფლიო ისტორიაში იგი შევიდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი კანონმდებელი. მან შექმნა **282** მუხლისაგან შემდგარი კანონთა კრებული. ხამურაბის სიკვდილის შემდეგ ბაბილონის სამეფო დასუსტდა. ძვ. წ. X ს.-ში კი ასურეთის სახელმწიფომ რამდენჯერმე დალაშქრა ბაბილონი და თავის საზღვრებში მოაქცია ის. ძვ. წ. VIII ს.-ის დასაწყისში ასურელებმა ბაბილონი დაიმორჩილეს. იმავე საუკუნის ბოლოს ბაბილონის ძლიერება კიდევ ერთხელ აღდგა. ის განსაკუთრებით გაძლიერდა **ნაბუქოდონოსორის** (ძვ. წ. 604-562) დროს, როდესაც ბაბილონის სამეფოს საზღვრები ხმელთაშუა ზღვასა და სპარსეთის ყურეს შორის გადაიჭიმა. მან განაახლა ღვთაება მარდუქის ტაძარი და ქალაქის გალავანი, ააგო **ბაბილონის კოშკი** (გოდოლი) და დაკიდებული ბალები, რომელიც ძველმა ბერძნებმა მსოფლიოს ერთერთ საოცრებად მიიჩნიეს. მისი მეფობის დროს ბაბილონი მსოფლიოს უდიდეს ქალაქად და ვაჭრობის ცენტრად იქცა. შემდეგ ბაბილონის სამეფო კვლავ დასუსტდა და ძვ.წ. VI საუკუნეში სპარსეთის აქემენიანმა მეფე კიროსმა დაიპყრო.

ასურეთის სამეფო


ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში არაბეთის ნ./კ.-იდან წინა აზიაში შემოჭრილი სემიტური ტომების შთამომავლები იყვნენ ასურელები, ანუ ასირიელები. მათი დასახლების ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი **ასური** (ბერძნ. ფორმა „ასირია“). ასურეთი მდ. ტიგროსის შუა და ზემო წელზე მდებარეობდა. ჩრდილოეთ მალაქმითიანეთში თავიდანვე განვითარდა მესაქონლეობა, სამხრეთ შუამდინარეთის დაბლობებში კი – მიწათმოქმედება. ბუნებრივი საზღვრების (ზღვებისა და ქედების) არქონის გამო ასურელებს არსებული ტერიტორიის შესანარჩუნებლად გამუდმებული ბრძოლა უწევდათ. ასურეთის მდებარეობის გამო მის ტერიტორიაზე გადიოდა ძირითადი სავაჭრო მარშრუტები. ტერიტორიის და სავაჭრო გზების დასაცავად ასურელები მეომარ ხალხად ჩამოყალიბდნენ. თავდაპირველად ასურელები ბაბილონსა და მითანს ემორჩილებოდნენ. ძვ. წ. XV-XIV სს.-იდან ასურეთი დამოუკიდებელი სამეფოა. ასურეთის მეფეებმა თანდათან დაიპყრეს მეზობელი ქვეყანა – მითანის სამეფო და ხეთური ოლქები.

ასურეთის ტერიტორია განსაკუთრებით გაიზარდა მეფე **ტიგლათფილესერ I-ის** (1115-1077 წწ.) დროს. ჩრდილოეთით მან „ნაირის“ ქვეყნები დალაშქრა. სამხრეთით კი ქალაქი ბაბილონი დაიპყრო და ფინიკიის ქალაქები დახარკა. ასურეთის ძლიერებას დროდადრო საფრთხეს უქმნიდნენ დასავლეთიდან შემოჭრილი არამეული ტომები, ჩრდილოეთიდან კი – ურარტუს სამეფო.

ასურეთის ხელახალი გაძლიერება (ე. წ. „ახალასურული ხანა“) დაკავშირებულია ძვ. წ. VIII ს.-ში **ტიგლათფილესერ III-ის** რეფორმებთან ადმინისტრაციულ და სამხედრო სფეროში. მან შექმნა სამხედრო არისტოკრატის პრივილეგირებული ფენა, ბრინჯაოს იარაღი შეცვალა რკინის იარაღით, არმიაში შექმნა კავალერია და დახვეწა საომარი ეტლების ფორმა. ქვეითი ჯარის წამყვან ძალას რკინის ჯავშნით შეჭურვილი და ხის დიდი ფარით დაცული მშვილდოსნები წარმოადგენდნენ.

მისი მემკვიდრის სარგონ II-ის (ძვ.წ. 722-705) დროს ასურეთი კიდევ უფრო გაძლიერდა. სარგონმა დალაშქრა ურარტუ, ბაბილონი. მისმა ვაჟმა სინაქერიბმა ახალ დედაქალაქად ქ. **ნინეფია** აირჩია.

გარეგნული ძლევამოსილებისა და დიდების მიუხედავად, ასურეთი შინაგანმა კრიზისმა მოიცვა. ხანგრძლივმა დაპყრობითმა ომებმა ქვეყნის რესურსები გააჩანაგა, სამეფო საგვარეულოს შიგნით ტახტისთვის ბრძოლა ხშირად სახელმწიფო გადატრიალებით მთავრდებოდა. შინაურ ქაოსს გარეშე საფრთხეც დაემატა. ასურეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ბაბილონი და მიდია. ბაბილონის მეფე ნაბოფალასარმა სამხრეთიდან შეუტია ასურეთს, ხოლო მიდიის მეფე კიაქსარმა – ჩრდილოეთიდან. მათი ჯარები ქ. ასურთან შეხვდნენ ერთმანეთს. **612 წელს** მოკავშირეებმა ნინეფია აიღეს. **605 წელს** ქარხემიშთან ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა საბოლოოდ დაამარცხა ასურეთის უკანასკნელი მეფე ასურუბალიტი.



ხათების (ხათის) სამეფო

ძვ. წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ახალი სახელმწიფოები წარმოიშვა. ზოგიერთი ისტორიკოსი მათ „სამხედრო სახელმწიფოებსაც“ უწოდებს, რადგან ისინი მუდმივად ომებს აწარმოებდნენ. ასეთები იყო: ხეთების სამეფო (ხათი), მითანი, ასურეთი. ხეთური ტომები მცირე აზიის ტერიტორიაზე დასახლდნენ. მათ თავიდანვე არ შეუქმნიათ ძლიერი სახელმწიფო. ხეთებმა ჯერ პატარა ქალაქ-სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს. ძვ. წ. XVIII საუკუნეში ამ ქალაქ-სახელმწიფოებიდან დაწინაურდა ქალაქი **ქუსარა**. მისმა მმართველებმა შეძლეს ხეთებით დასახლებული ტერიტორიის გაერთიანება. ქუსარის მეფე **ხათუსილიმ** დედაქალაქი ახლად დაარსებულ **ხათუსაში** გადაიტანა. ხათუსილი I-მა შეძლო ჩრდილოეთ სირიის დაპყრობა. მისმა მემკვიდრემ კი ქალაქი ბაბილონიც აიღო და სასტიკად გაძარცვა. ხეთებმა საკმაოდ ძლიერი სამეფო შექმნეს. მათ მალე მიაღწიეს სერიოზულ სამხედრო წარმატებას. ამის მიზეზი იყო ხეთების სამეფოში სამხედრო საქმის მაღალ დონეზე ორგანიზება. საომარი მოქმედებების დროს ხეთებმა ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს საბრძოლო ეტლი. ხეთების სამეფოს „ათასი ღვთაების ქვეყანას“ უწოდებენ, რადგან ყველა ტომს და დასახლებას თავისი ღვთაება ჰყავდა. მთავარ ღმერთად ითვლებოდა მზის ქალღმერთი არიანა.

ხეთების სამეფოს ისტორიას მეცნიერები სამ ნაწილად ყოფენ: ძველი სამეფო (ძვ. წ. 1650-1500), შუა სამეფო (ძვ. წ. 1500-1450) და ახალი სამეფო (ძვ.წ. 1450-1200). ხათი განსაკუთრებით გაძლიერდა ახალი სამეფოს ხანაში, რომელიც ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული. ხეთების სამეფომ რამდენჯერმე განიცადა აღმავლობა და დაცემა. წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონიისთვის ხეთების სამეფოს გამუდმებული ომები უწევდა არა მარტო მეზობელ ქვეყნებთან, არამედ ეგვიპტესთანაც კი. ძვ. წ. 1200 წელს ხეთების სამეფო დასავლეთიდან შემოჭრილმა ტომებმა გაანადგურეს.

ურარტუ

ძვ. წ. IX ს.-ში სამხრეთ კავკასიაში, ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში ჩამოყალიბდა ურარტუს სახელმწიფო. მისი დედაქალაქი იყო **ტუშფა**. ურარტუ განსაკუთრებით გაძლიერდა მეფეების **არგიშთი I-ისა და სარდური II-ის** დროს. ამ დროს ურარტუს მეფეებმა დალაშქრეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც, მათ შორის პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – **დიაოხი** და **კოლხა**. ურარტუს ისტორიის შესახებ უპირველესი წყაროა ასურული და თავად ურარტული ლურსმული წარწერები, რომლებიც ძირითადად ასურელებთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ბრძოლების, სამშენებლო და საკულტო საქმიანობის აღწერას მოიცავს.

ურარტუს სამეფო ძლიერ დაასუსტა ძვ. წ. VIII ს.-ში ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომების: **სკვითებისა და კიმერიელების** შემოსევამ. ძვ. წ. VII საუკუნეში დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე მიდიის სამეფოს გაძლიერებამ საფრთხე შეუქმნა ურარტუს სახელმწიფოს. მიდიელებმა ჯერ ასურეთის სამეფო დაიპყრეს, შემდეგ კი, დაახლოებით 590 წ., ურარტუს სამეფოც. ურარტუ განთქმული იყო ლითონის (რკინა, ბრინჯაო) წარმოებით. ურარტელებმა ძვ. წ. IX ს.-ში ასურელებისგან შეითვისეს და უფრო გაამარტივეს ლურსმული დამწერლობა.

დიაოხი და კოლხა

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს ქართველურმა ტომებმა შექმნეს პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დიაოხი და კოლხა. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I თავის წარწერაში მოგვითხრობს ასურელთა გალაშქრებაზე „ნაირის ქვეყნების“ წინააღმდეგ. ასურელები „ნაირის“ მათი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ მიწა-წყალს ეძახდნენ. სხვა დატყვევებულ მეფეთა შორის ამ წარწერაში იხსენიება დაიენის (დიაოხის, ტაოხის) მეფე სიენი. შემდგომში დიაოხს იხსენიებენ ურარტული წარწერები. ურარტუს მეფეები **მენუა** (ძვ. წ. 819-786 წწ.) და მისი ძე **არგიშთი** (ძვ. წ. 786-764 წწ.) მოგვითხრობენ თავიანთ ძლევამოსილ ლაშქრობაზე დიაოხის წინააღმდეგ. მისი ტერიტორია ჭოროხის აუზს და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს მოიცავდა.

დიაოხი ძვ. წ. XII-VIII სს. არსებობდა. არგიშთის შემდეგ ეს ქვეყანა აღარ ჩანს. სამაგიეროდ ურარტუს მეფე სარდური II-ის წარწერაში იხსენიება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეორე დიდი გაერთიანება – კოლხა (კულხა). როგორც ჩანს, დიაოხის მიწები ურარტუმ და კოლხამ გაინაწილეს და დამეზობლების შემდეგ მათ შორის ომები დაიწყო. ძვ. წ. VIII ს. ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიიდან დაიწყო მომთაბარე სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები; ისინი ჯერ სამხრეთ კავკასიაში შემოიჭრნენ, აქედან კი – ახლო აღმოსავლეთში. ამ შემოსევების შედეგად ურარტუ ძალიან დასუსტდა, ხოლო კოლხა საერთოდ განადგურდა.

3. აქემენიანური ირანი

ძვ. წ. VI საუკუნეში წინა აზიაში ჩამოყალიბდა მსოფლიოს უდიდესი სახმელეთო იმპერია, აქემენიანური ირანი. იმპერიის სათავეში იდგა წინა აზიაში მცხოვრები ერთ-ერთი ირანულენოვანი ტომის, სპარსელების, მმართველი აქემენიანთა საგვარეულო. ძვ. წ. VII საუკუნეში სპარსელები ასევე ირანულენოვანი ტომების მიერ შექმნილი სახელმწიფოს – **მიდიის** შემადგენლობაში შედიოდნენ და ხარკს იხდიდნენ.

კიროსი

ძვ. წ. 553 წელს მიდიის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო სპარსეთის მეფე **კიროს II-მ** (ძვ. წ. 558-530). ბრძოლამ სამ წელიწადს გასტანა და სპარსელთა გამარჯვებით დასრულდა. **ძვ.წ. 550** წელს კიროსმა აიღო მიდიის დედაქალაქი **ეკბატანა** და თავი სპარსეთისა და მიდიის მეფედ გამოაცხადა. კიროსმა გააგრძელა დაპყრობები და მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიკავა პართია და ჰირკანია – მანამდე მიდიის შემადგენლობაში მყოფი ირანული ოლქები. შემდეგ კიროსმა მცირე აზიისკენ ილაშქრა. მას მიემხრო მცირე აზიის ერთ-ერთი სამეფო – კილიკია და სამხედრო დახმარებაც კი შესთავაზა. ამის გამო კიროსს არასდროს გაუგზავნია კილიკიაში სპარსელი მმართველები, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ. კილიკიის სპარსელების მხარეზე გადასვლის შემდეგ კიროსი უკვე **ლიდიის** სამეფოსაც მიუახლოვდა. იმ დროს ლიდიის სამეფოს მცირე აზიაში გამორჩეული ადგილი ეჭირა. მისი მფარველობის ქვეშ იყვნენ სანაპიროზე მდებარე ბერძნული ქალაქები. კიროსი ლიდიისკენ დაიძრა. გზა-

დაგზა ის თავის არმიას იმ ქვეყნის მეომრებითაც ავსებდა, რომელთა ტერიტორიაზეც გადიოდა. კიროსმა ელჩები მცირე აზიის სანაპიროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებშიც გაგზავნა და მოუწოდა, მის მხარეზე გადასულიყვნენ. მაგრამ მცირეაზიელმა ბერძნებმა დაცდა ამჯობინეს. ლიდის დედაქალაქის – სარდეს ალების შემდეგ კიროსმა იქ სპარსელი მმართველი დანიშნა და მცირე აზიის ბერძნული ქალაქებისკენ გაემართა. ბერძნებმა კიროსს ელჩები გაუგზავნეს და მფარველობა სთხოვეს იმ პირობით, რა პირობითაც მანამდე ლიდის მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მაგრამ კიროსმა ელჩებს უპასუხა, მას შემდეგ, რაც ლიდის ბედი გადაწყდა, ბერძნულ ქალაქებსაც თავად განვუსაზღვრავ პირობებსო. ქალაქების ნაწილი სპარსელებს საკუთარი ნება-სურვილით დამორჩილდა, ნაწილი კი ბრძოლის შედეგად დაიპყრეს.

კიროსმა ლაშქრობები აღმოსავლეთით გააგრძელა და შუა აზიის ნაწილი დაიპყრო. შემდეგ კი ბაბილონიც დაიკავა. ქალაქის მცხოვრებლებს კიროსის არმიისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან კიროსმა ისინი უსამართლო მეფის ბატონობისაგან იხსნა. კიროსმა ბაბილონის მთავარ ღვთაებას – მარდუქს ტაძარში მსხვერპლი შესწირა და ქალაქის მცხოვრებლებს მშვიდობას და ხელშეუხებლობას შეჰპირდა. ასევე, იმ მოსახლეობას, რომელიც ბაბილონის მეფეების მიერ იძულებით იყვნენ შუამდინარეთში გადმოსახლებული, მან ნება დართო, საკუთარ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. კიროსმა ფორმალურად შეინარჩუნა ბაბილონის სამეფო და სოციალურ სტრუქტურაში არაფერი შეუცვლია. ბაბილონი მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია გახდა. ქვეყანაში, ერთი შეხედვით, ყველაფერი უცვლელი დარჩა. ამას გარდა, კიროსის მმართველობა ბაბილონში უცხოელთა ბატონობად არ მიუღიათ, რადგან მან მეფობა „მარდუქის ხელიდან“ მიიღო და ყველა რიტუალი შეასრულა, მაგრამ სინამდვილეში ბაბილონის დამოუკიდებელი სახელმწიფო აქემენიანთა ერთ-ერთ ოლქად გადაიქცა.

ბაბილონის დამორჩილების შემდეგ დასავლეთით მდებარე ქვეყანები – სირია, პალესტინა და ფინიკია – ეგვიპტის საზღვრამდე სპარსელებს დაექვემდებარა. აქემენიანთა სახელმწიფო ვრცელ ტერიტორიაზე გადაიჭიმა და ამის შემდეგ კიროსმა გადაწყვიტა, საზღვრები უკვე სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან გაემაგრებინა, რათა შუა აზიიდან მომთაბარე ტომები – მასაგეტები არ შემოჭრილიყვნენ. ამისათვის მან ძვ. წ. 530 შუა აზიაში ილაშქრა, მაგრამ მდინარე ამუდარიის სანაპიროზე მომთაბარებთან ბრძოლაში დაიღუპა.

კამბისა

ძვ. წ. 530 წელს ტახტზე ავიდა კიროსის მემკვიდრე **კამბისე**. მან ეგვიპტეზე გაილაშქრა. ძვ. წ. 525 წელს ეგვიპტელთა არმია სპარსელებთან ბრძოლაში დამარცხდა და ეგვიპტეც აქემენიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. კამბისემ ფარაონის ტიტული მიიღო და ეგვიპტის მეფედ ყველა წესის დაცვით ეკურთხა. ძვ. წ. 522 წელს სპარსეთში აჯანყება დაიწყო და კამბისეც სამშობლოსკენ გაემურა, თუმცა გზაში შეთქმულებმა მოკლეს.

დარიოს I

აქემენიანთა ირანის შემდეგი მეფე გახდა დარიოს I (ძვ. წ. 522-486). მეფობის პირველ ორ წელს დარიოსი მთელ იმპერიაზე მოდებული აჯანყებების ჩაქრობას მოუწოდა. სახელმწიფოში წესრიგის დამყარების შემდეგ დარიოსმა რეფორმების გატარება დაიწყო. მან სახელმწიფო **ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად – 20 სატრაპიად** დაყო. როგორცნესი, სატრაპიის საზღვრები ემთხვეოდა ძველი ქვეყნების სახელმწიფო და ეთნოგრაფიულ საზღვრებს. სატრაპიის ფარგლებში დაშვებული იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის ქალაქი თვითმმართველობას, ავტონომიას ინარჩუნებდა (მაგ., ფინიკიური ქალაქები, ბერძნული ქალაქების ნაწილი). სატრაპიის სათავეში მეფის მოხელეები – **სატრაპები** იდგნენ. სატრაპის თანამდებობა კიროსისა და კამბისეს დროსაც არსებობდა და ის ადგილობრივი მმართველის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ერთდროულად ოლქში უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო პირი იყო. ძირითადად სატრაპები ადგილობრივი წარჩინებულებიდან ინიშნებოდნენ. დარიოსის რეფორმის შედეგად კი სატრაპებად უმეტესად სპარსელებს ნიშნავდნენ; მათ ადგილებზე უმაღლესი სამოქალაქო და სასამართლო ხელისუფლება ჰქონდათ, კრებდნენ გადასახადებს, რომლებიც ოქროს,

ვერცხლის, ხეტყის, სხვადასხვა პროდუქტებისა და საქონლისგან შედგებოდა. სატრაპიის ჯარის მთავარსარდალს მეფე პირადად ნიშნავდა. სატრაპები და მხედართმთავრები უშუალოდ დამოკიდებული იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე, მათ მუდმივად ამოწმებდა საიდუმლო პოლიცია. დარიოსის რეფორმის შედეგად შეიქმნა დიდი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სამეფო კანცელარიიდან იმართებოდა.

მეფის რეზიდენცია **პერსეპოლისში** იყო, მაგრამ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქი **სუზა** წარმოადგენდა. სუზის გარდა სხვა დიდ ქალაქებშიც – ბაბილონში, ეკბატანაში, მემფისსა და სხვა სატრაპიების დედაქალაქებშიც არსებობდა კანცელარიები. ყველა მოხელეს თვალყურს ადევნებდა უმაღლესი მოხელე – **ხაზარაპეტი**, რომელსაც იმავდროულად მეფის პირადი გვარდია „**ათი ათასი უკვდავიც**“ ემორჩილებოდა (გვარდიას ამგვარად იმიტომ იწოდებოდა, რომ მათი რაოდენობა მუდამ უცვლელი იყო. რომელიმე მემომრის დაღუპვის შემთხვევაში, მის ადგილზე სწრაფად აყენებდნენ სხვა გამოცდილ მემომარს).

დარიოსმა ეკონომიკური რეფორმებიც გაატარა. მან იმპერიაში ფულის საერთო ერთეული შემოიღო. ეს იყო ოქროს „**დარიკი**“. ასევე იჭრებოდა ვერცხლის „**სიკლი**“. „დარიკის“ მოჭრა მხოლოდ მეფეს შეეძლო, სიკლს კი სატრაპიებში (ძირითადად მცირე აზიაში) ჭრიდნენ. ვაჭრობისა და კომუნიკაციის განსავითარებლად დარიოსმა მოაწესრიგა გზები, შექმნა მუდმივი საფოსტო სადგურები, რომლებიც ინფორმაციის სწრაფი გავრცელების საშუალებას იძლეოდა. ახალმა სამონეტო და ადმინისტრაციულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას.

მკაცრად იყო დადგენილი სატრაპიებში მოსახლეობის შემადგენლობა (თუ რომელი ხალხი იყო ამა თუ იმ სატრაპიაში გაერთიანებული) და გადასახადები. თავად სპარსელები გადასახადებისგან გათავისუფლებული იყვნენ. ისინი სახელმწიფო აპარატში, მეფის „უკვდავთა გვარდიასა“ და არმიაში მსახურობდნენ.

აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში ქართული ტომების ნაწილიც მოექცა. თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები სპარსეთის **XVIII და XIX სატრაპიებში** იყვნენ გაერთიანებული. ჰეროდოტეს თანახმად, ქართული ტომებიდან – კოლხები სატრაპიის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, მაგრამ საკუთარი ნებასურვილით იხდიდნენ ყოველ მეხუთე წელს ხარკს: 100 ყრმასა და 100 ქალწულს.

დარიოსმა იმპერიაში საერთაშორისო ენად **არამეული შემოიღო** (არამეული ენა ძვ.წ. I ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ყველაზე გავრცელებული ენა იყო). მთელი იმპერიის ტერიტორიაზე ოფიციალური დოკუმენტები არამეულ ენაზე იგზავნებოდა.


აქემენიანი მეფეები, ისევე როგორც ძველი სამყაროს სხვა მონარქები, ხშირად საკუთარ წარწერებს სასახლეთა კედლებზე, კლდეზე აკვეთინებდნენ, რათა მათი ნაკითხვა ყველას შესძლებოდა. დღემდე შემორჩენილია ქალაქ სუზის დარიოსის წარწერა, რომელიც აქ სასახლის აგების შესახებ მოგვითხრობს.

ქსარქსა

დარიოს I-ის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მისი მემკვიდრე ქსერქსე I (ძვ. წ. 486-465 წ.) ჩაუდგა. საგარეო პოლიტიკაში მან აქემენიანთა ტრადიციული კურსი გააგრძელა. დარიოსის დროს დაიწყო და შემდეგ ქსერქსეს მეფობისას გაგრძელდა ირანელებისა და ბერძენების დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში ბერძნულ-სპარსული ომების სახელითაა ცნობილი. ქსერქსემ სახელმწიფოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – რელიგიური რეფორმა ჩაატარა და ირანელთა საერთო რელიგიად **ზოროასტრიზმი** გამოაცხადა. მან აკრძალა იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის ადგილობრივი ღვთაებები და კულტები და აპურამაზდას სავალდებულო თაყვანისცემა დაანესა.

უძველეს დროში სპარსელები სხვადასხვა ღმერთს სცემდნენ თაყვანს. ძვ.წ. VII-VI სს-ში **ზარათუშტრამ** (ბერძნულად **ზოროასტრმა**) ჩამოაყალიბა მოძღვრება, რომელსაც შემდეგ ზოროასტრიზმი ეწოდა. ზოროასტრიზმი დუალისტური რელიგიაა, რომლის მიხედვით, სამყაროში ორი ურთიერთსაპირისპირო სანყისის – სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის, სიცოცხლისა და სიკვდილის მუდმივი

ბრძოლა მიმდინარეობს. დადებით საწყისს ნათელი ღვთაება **აჰურა მაზდა** განასახიერებს. ამ რელიგიას აგრეთვე უწოდებენ **მაზდეანობას** (აჰურა მაზდას სახელის მიხედვით) ან **ცეცხლთაყვანისმცემლობას** (მათი მთავარი სალოცავი წმინდა ცეცხლია).



4. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები და კოლონიზაცია

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ვინრო ზოლი უძველეს დროიდანვე დასახლებული იყო სემიტური მოდგმის ქანაანელთა ტომებით. ამ მდიდარ, ნაყოფიერ, სამინათმოქმედო კულტურითა და მეთევზეობა-ზღვაოსნობით განთქმულ ქვეყანას ძველი ბერძნები უწოდებდნენ „ფინიკიას“, რაც ბერძნულიდან ითარგმნება როგორც „მენამული“. ამ რეგიონში არ იყო დიდი მდინარეები, ადგილობრივი მასშტაბებით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იორდანე პალესტინაში და ორონტი სირიასა და ფინიკიაში. ამის გამო ირიგაცია სუსტად იყო განვითარებული. მთის მასივები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს რამდენიმე ნაწილად ყოფდა. ეს ორი ფაქტორი ხელს უშლიდა რეგიონის ერთ სამეურნეო ერთეულად ჩამოყალიბებას.

III ათასწლეულის შუახანებში ფინიკიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე ძლიერი ქალაქ-სახელმწიფო, მათ შორის განსაკუთრებით გაძლიერდნენ **ბიბლოსი, სიდონი, უგართი და ტვიროსი**. ქალაქების ძირითად მოსახლეობას ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ.

ფინიკია მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით – სპილენძისა და რკინის მადნით, ტყეებით, მათ შორის სახელგანთქმული კედრით. ეს სიმდიდრე ეგვიპტელებისა და შუამდინარეთის სახელმწიფოების ინტერესს იწვევდა. სამინათმოქმედო მიწების სიმცირემ და ზღვასთან სიახლოვემ განსაზღვრა ამ რეგიონის ეკონომიკის განვითარების თავისებურება: სახმელეთო ვაჭრობა განვითარდა შუამდინარეთთან და საზღვაო ეგვიპტესთან. ძვ. წ-ის II ათასწლეულიდან ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფოებმა საზღვაო ვაჭრობაში პირველობა მოიპოვეს. მათ შორის გამოირჩეოდნენ ტვიროსი და სიდონი. ხეტყის სიჭარბემ ხელი შეუწყო გემთმშენებლობის განვითარებას. მათ დიდ ნიჭიან გემებს, რომლებსაც ბრტყელი გემბანი და იაღქნები ჰქონდათ, შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა შეეძლოთ. საქონლით დატვირთული ფინიკიური გემები იმდროინდელი მსოფლიოს ყველა წერტილში აღწევდნენ. ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს ცნობით, ძვ. წ-ის VII-VI სს. მიჯნაზე ფინიკიელებმა აფრიკასაც კი შემოუარეს. ფინიკიურ ქალაქ-სახელმწიფოებზე დიდ ზეგავლენას ახდენდნენ მეზობელი დიდი ცივილიზაციები და ქვეყნები: ასურეთი, ეგვიპტე, ხათი.

ძვ. წ. XI ს-ში განსაკუთრებით დაწინაურდა ქ. ტვიროსი, რომელმაც დაიწყო მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის მასობრივი **კოლონიზაცია**. ფინიკიელები შორეულ მხარეებში აარსებდნენ ახალ დასახლებებს – კოლონიებს. დამაარსებელი ქალაქები კოლონიებზე არა მხოლოდ ეკონომიკურ გავლენას ახდენდნენ, არამედ თავის კულტურასაც ავრცელებდნენ კოლონიის მიმდებარე ადგილობრივ მოსახლეობაში. კოლონიზაციის პროცესი რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. ქალაქები არც ისე დიდი იყო და სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწების სიმცირე ვერ უზრუნველყოფდა მათ ყველა მოქალაქეს. ამდენად, მოქალაქეთა ნაწილი ცდილობდა ახალ მიწებზე დასახლებას და იქ საკუთარი მეურნეობის განვითარებას. მეორე მიზეზი იყო საზღვაო ვაჭრობის განვითარება. ფინიკიელებს სხვადასხვა ქვეყნიდან შეჰქონდათ მათთვის საჭირო საქონელი, ხოლო საკუთარ ნაწარმს ხელსაყრელ ფასად ყიდდნენ. ხმელთაშუაზღვისპირეთში ქალაქების დაარსება ამ პროცესს აადვილებდა. ძვ. წ-ის

XI საუკუნეში ტვიროსელებმა ჩრდილოეთ აფრიკაში დააარსეს ქალაქი უტიკა, ხოლო პირენეს ნახევარკუნძულზე – გადესი. თანდათანობით ფინიკიელებმა აითვისეს დასავლეთ სიცილია, მალტა და ბალეარის კუნძულები. მათ მიერ დაარსებულ ქალაქებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ძვ. წ. 825 წ. ჩრდილოეთ აფრიკაში დაარსებული ქალაქი **კართაგენი**.

ფინიკიის მთავარი ქალაქები – ტვიროსი, სიდონი და ბიბლოსი – სატრანზიტო ვაჭრობის შედეგად მდიდრდებოდნენ. ტვიროსი ცნობილი იყო სამეღბრო სახელოსნოებით, სადაც შემოტანილ ქსოვილს ღებავდნენ მენამული საღებავით, რომელსაც მოლუსკებისგან ამზადებდნენ. ასევე ძალიან ფასობდა ფინიკიელი ოსტატების მიერ დამზადებული ნაკეთობები – ოქროსა და ვერცხლის თასები, საიუველირო ნაწარმი. ვაჭრობასთან ერთად ფინიკიელები მეკობრეობასაც არ თაკილობდნენ.

ძვ. წ. IX-VII სს-ში ფინიკიის ქალაქები ასურეთის დაქვემდებარებაში მოექცნენ. ასურელთა ხარკის სიმძიმის გამო ფინიკიელი მეფეები გამუდმებით ჯანყდებოდნენ, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევდნენ, რადგან ქალაქ-სახელმწიფოებს შორის არსებული სავაჭრო კონკურენციის გამო გაერთიანებას ვერ ახერხებდნენ. ძვ. წ. VI ს-ის შუახანებში ფინიკია დაიპყრო სპარსეთის აქემენიანმა მეფე კიროსმა. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან ფინიკიელების კონკურენტები ხმელთაშუაზღვისპირეთში გახდნენ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები (პოლისები). ბერძნებმა დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა წამოიწყეს. ბერძნებმა თანდათანობით შეძლეს ფინიკიელების ჩანაცვლება. მათ გამოიგონეს ახალი, უფრო სწრაფმავალი სამხედრო გემები – **ტრიერები** და მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში გაბატონდნენ. ძვ. წ. 332 წ. ფინიკია დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა. აქ დამკვიდრდა ელინისტური კულტურა, გაბატონებულ ენებად იქცა ბერძნული და არამეული. ახ. წ. III ს-ში ფინიკიის ქალაქებმა საბოლოოდ დაასრულეს არსებობა.

ფინიკიელების სახელთან არის დაკავშირებული კაცობრიობის უდიდესი მიღწევა – **ანბანის** გამოგონება. ფინიკიელ ვაჭრებს თავისი ფართო კონტაქტების გამო სჭირდებოდათ დამწერლობის მარტივი წესი (და არა აქადური ლურსმული ან ეგვიპტური იეროგლიფები). ამ ძიებამ სამხრეთ ფინიკიაში წარმოშვა პირველი ხაზოვანი დამწერლობა, რომელშიც თითოეული ნიშანი უკვე წინასწარ დადგენილ მარცვალს კი აღარ აღნიშნავდა, არამედ თანხმოვანს, რომელსაც, შეიძლება, ნებისმიერი ხმოვანი დართვოდა ან არ დართვოდა. ფინიკიურ ანბანში ჩამოყალიბდა 22 ასო-ნიშანი. შემდგომში ამ დამწერლობას გაეცნნენ ბერძნები, გადაიღეს და თავის მხრივ დაუმატეს ხმოვანი ნიშნები, რითაც ანბანურმა სისტემამ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

5. კველი საპარქნეთი

პარქნული კოლონიზაცია

ანტიკური ეპოქის საბერძნეთი არ იყო პოლიტიკურად ერთიანი. ძვ. წ. VIII ს-ში თითქმის ყველა ბერძნულ ქალაქში წარმოიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მათ ბერძნები **პოლისებს** უწოდებდნენ.

თავდაპირველად „პოლისი“ მხოლოდ გეოგრაფიულ ტერიტორიას აღნიშნავდა. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ის ქალაქ-სახელმწიფოს სინონიმი. ყოველ პოლისს ჰყავდა საკუთარი ჯარი, ჰქონდა ხაზინა, ჭრიდა საკუთარ მონეტას. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში ბერძნებმა საკუთარი პოლისების გარეთ დაიწყეს საცხოვრებელი ადგილის ძიება. პოლისის ეკონომიკის საფუძველი მიწათმოქმედება, ხელოსნობა და სამთამადნო საქმე იყო. საბერძნეთის ყველა ქალაქს მიწისა და ლითონის საბადოების სიმცირე ზღუდავდა. ქალაქები ერთმანეთს ხშირად ეომებოდნენ. პოლისების შიგნითაც ხშირი იყო დაპირისპირება მიწისმფლობელებსა და ღარიბებს შორის. ძვ. წ. VIII ს-დან პოლისების მოსახლეობამ ახალი ტერიტორიების ათვისება დაიწყო. ამის ძირითადი მიზეზი სწორედ მიწის სიმცირე იყო. მეორე მიზეზი ქალაქებში არსებული უთანხმოებები და, ხშირად, სამოქალაქო ომებიც იყო. ასეთ შემთხვევაში პოლისიდან მიდიოდნენ ახალი, უკეთესი ქალაქის დაარსების სურვილით. ამავ მიზეზით მრავალი გაღარიბებული და ვალეებში ჩაფლული ბერძენიც ტოვებდა სამშობლოს.

კოლონიის დაარსება მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო. მასში ქურუმები და წინასწარმეტყველები ერეოდნენ. დასახლების ადგილის შერჩევასა შემდეგ პირობებს ითვალისწინებდნენ: ა) ქალაქი ზღვით ადვილად უნდა ყოფილიყო მისადგომი; ბ) ქალაქის დაცვა იოლი უნდა ყოფილიყო; გ) ახალი დასახლება ნაყოფიერი მიწებით უნდა ყოფილიყო გარშემორტყმული; დ) ქალაქს მუდმივად უნდა ჰქონოდა სასმელი წყალი.

კოლონიები იქცა ბერძნული საქონლის გასაღების ახალ ბაზრად. თავის მხრივ, კოლონიებიდან საბერძნეთში შედიოდა დამატებითი ნედლეული, რაც მეტროპოლიის მზარდ ეკონომიკას ძლიერ სჭირდებოდა. თანდათან ბერძნული კოლონიები მსოფლიო სავაჭრო ცენტრებად იქცა. ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებულმა ზოგიერთმა ბერძნულმა კოლონიამ ადგილობრივი მოსახლეობა თავისი გავლენის სფეროში მოაქცია და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. კოლონიისა და **მეტროპოლიის** ანუ „დედა ქალაქის“ ერთმანეთთან დამოკიდებულება განსხვავებული იყო. ზოგჯერ კოლონია სრულიად დამოუკიდებელ ქალაქად ყალიბდებოდა, ზოგ შემთხვევაში კი მეტროპოლიის გავლენის ქვეშ რჩებოდა.

ბერძნული კოლონიები საქართველოში

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევის შედეგად განადგურებული კოლხას სამეფოს მოსახლეობა ძვ. წ. VIII-VII სს-ში უფრო ჩრდილოეთით გადასახლდა. მათ მდინარე რიონის აუზში ახალი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. ამ სახელმწიფოს ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა ბერძნულ პოლისებთან. ამ ურთიერთობებს დაემთხვა ბერძნული კოლონიზაცია ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში. ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბერძნებმა აქტიურად დაიწყეს შავიზღვისპირეთის ათვისება. დასაწყისში კოლონიები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე გაჩნდა. ბერძნებმა აქ დააარსეს კერასუნტი, კოტიორა, ტრაპეზუნტი. შემდგომში ბერძნული ახალშენები გაჩნდა კოლხეთის ტერიტორიაზე: **ფაზისი** (ფოთი), **გიენოსი** (ოჩამჩირე), **დიოსკურია** (სოხუმი), **პიტუნტი** (ბიჭვინთა); ახალშენი იყო ასევე ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე. საქართველოში პირველი ახალშენები ქალაქ **მილეტიდან** ჩამოსულმა ვაჭრებმა დააარსეს. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ბერძნული ახალშენები სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ და არასდროს უკისრიათ პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია.

კოლხეთიდან ბერძნებს გაჰქონდათ ხეცყე, ცვილი, ფისი, სელი და სელის ნაწარმი (გემთმშენებლობაში გამოსაყენებლად), თაფლი, ოქრო, რომელიც მდინარეებს ჩამოჰქონდა და მოსახლეობა ვარცლებითა და ტყავებით აგროვებდა (აქედან მოდის კიდევ მითი ოქროს სანმისზე და არგონავტებზე). კოლხეთიდან გაჰყავდათ მონებიც. საბერძნეთიდან კოლხეთში შემოდიოდა მაღალი ხარისხის ღვინო, ზეთუნის ზეთი, მაღალი ხარისხის კერამიკული და მინის ნაწარმი, საიუველირო ნაწარმი. კოლხეთში აქტიურ ვაჭრობაზე მეტყველებს ადგილობრივი ვერცხლის ფული – **კოლხური თეთრი**, რომელიც ძვ. წ. VI ს-დან იჭრებოდა.

ათენი

შუა საბერძნეთში მდებარე ატიკის ოლქი ძველთაგანვე საბერძნეთის ცენტრს წარმოადგენდა. ატიკის მთავარმა ქალაქმა, ათენმა, თანდათან მთელ ატიკაზე მოიპოვა გავლენა. ათენში ჩაისახა მმართველობის ფორმა, რომელსაც **დემოკრატია** ეწოდება. კაცობრიობის ისტორიაში აქ პირველად შემოიღეს „**მოქალაქის**“ ცნება.

ათენი საბერძნეთის 750 პოლისს შორის ერთ-ერთი ქალაქ-სახელმწიფოთაგანი და ფართობის სიდიდით მეორე ქალაქი იყო სპარტის შემდეგ. იგი შედგებოდა საკუთრივ ქალაქის, მისი ნავსადგურის (პირეოსის) და გარშემო მდებარე ტერიტორიისგან (სოფლები, პატარა დასახლებები, ზღვის სანაპირო ზოლი). პოლისის ჩამოთვლილი ნაწილები ერთმანეთს ავსებდნენ ეკონომიკური თვალსაზრისით. ბერძნული წყაროები ათენს „ათენელთა ქალაქად, ათენელთა სახელმწიფოდ“ მოიხსენიებენ. ქალაქ-სახელმწიფოთა სიმრავლის მიუხედავად, ბერძნები თავს ერთიანი ბერძნული სამყაროს წევრებად მიიჩნევდნენ, რადგან ჰქონდათ ერთი ენა, თავყანს სცემდნენ ერთსა და იმავე ღმერთებს, იკრიბებოდნენ საერთობერძნულ რელიგიურ დღესასწაულებზე. თავდაპირველად ათენში ძალაუფლებას

არისტოკრატია ფლობდა. პოლისს სათავეში ბასილევსი, ანუ მეფე ედგა. აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა **არქონტთა 9-კაციანი კოლეგია**, რომელსაც **არეოპაგი**, ანუ არისტოკრატთა საბჭო ირჩევდა.

ძვ. წ. VII საუკუნეში ათენში მცირემინიანობის გამო ძალიან ბევრი გალარიბდა. მათ შემოსავალი არ ჰქონდათ და ვალს იღებდნენ. ვალის გადახდა უმრავლესობას აღარ შეეძლო და არისტოკრატის მონა ხდებოდა. ამას დაემატა სასტიკი კანონები, რომლებიც არისტოკრატებმა ხალხს დაუწესეს.

სოლონის რეფორმები

ძვ. წ. 594 წელს პირველ არქონტად აირჩიეს სოლონი, რომელმაც რეფორმების გზით შეცვალა საზოგადოება. მან დაამკვიდრა:

- **თავისუფალი ადამიანის**, ანუ **მოქალაქის** ცნება. სოლონიმ აკრძალა ვალის გამო თავისუფალი ადამიანის გაყიდვა და მისი მონად ქცევა. მცირე აზიაში გაყიდული ადამიანები სამშობლოში დააბრუნეს. ამიერიდან მონა მხოლოდ უცხოელი, არაბერძენი შეიძლებოდა ყოფილიყო: ათენში მონა არა ადამიანად, არამედ იმ სულიერ იარაღად ითვლებოდა, რომელიც აუცილებელია საოჯახო მეურნეობის წარმართვისა და ფუნქციონირებისთვის.
- დიდგვაროვანთ ჩამოერთვათ უკანონოდ მითვისებული მიწები და მფლობელებს დაუბრუნეს.
- სოლონის დროს განისაზღვრა მინიმუმფლობელობის მაქსიმუმი.
- სოლონის რეფორმებმა გაზარდა **დემოსის** – თავისუფალი მოქალაქეების უფლებები. თუმცა, თანამდებობის მიღებისა და პოლიტიკური უფლებების მოცულობის განმსაზღვრელი პიროვნების ქონებრივი მდგომარეობა იყო.
- **სახალხო კრება** პოლისის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა და ხმის მიცემის უფლება ათენის ყველა მოქალაქეს თანაბრად ჰქონდა. გარდა ამისა, მათ შეეძლოთ ნაფიც მსაჯულებად გახდომა.
- სახალხო საბჭო ირჩევდა უმაღლეს მოხელეებს – ცხრა არქონტს ორი ზედა ქონებრივი კლასიდან. მათგან ყველაზე მეტი ძალაუფლება პირველ არქონტს ჰქონდა.
- სახალხო კრების სხდომას ამზადებდა და მიმდინარე საკითხებს აგვარებდა ოთხივე ქონებრივი კლასიდან არჩეული 100-100 ადამიანისგან შემდგარი საბჭო, ანუ **ბულე**.

კლისთენეს მმართველობა

ათენში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება გაგრძელდა კლისთენეს დროსაც. ძვ. წ. 509 წელს კლისთენემ:

- გააუქმა ათენის მოქალაქეთა დაყოფა ქონების მიხედვით. დემოსზე დიდგვაროვანთა გავლენა რომ შეესუსტებინა და გვარები გაეთიშა, კლისთენემ მთელი ატიკა სამ ტერიტორიულ ოლქად დაყო: 1) სანაპირო, 2) ქალაქი ათენი და მისი შემოგარენი, 3) შიდა მხარე. ამგვარად ბულე ტერიტორიული პრინციპით კომპლექტდებოდა. კლისთენეს დროს კვლავ ყველა მოქალაქე მონაწილეობდა სახალხო კრებასა და სასამართლოს მუშაობაში. მხოლოდ 400-თა საბჭო შეცვალა 500-თა საბჭომ.
- ქონებრივი ცენზის მიხედვით მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების არჩევა ხდებოდა ზედა ორი ფენიდან.
- ათენური მმართველობა **ტირანიისგან** (ერთპიროვნული მმართველობისგან) რომ დაეცვა, კლისთენემ შემოიღო **ოსტრაკისმოსი**, ანუ „**ნატეხთა სასამართლო**“. ყოველწლიურად სახალხო კრებაზე განიხილავდნენ საკითხს: ხომ არ იყვნენ ქალაქში ადამიანები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ არსებულ სახელმწიფო წყობას. კრების მონაწილეები თიხის ნატეხებზე ანუ ოსტრაკონებზე წერდნენ ასეთ პირთა სახელებს. კენჭისყრაში სულ მცირე, 6000 მოქალაქეს უნდა მიეღო მონაწილეობა. ვისი სახელიც ყველაზე მეტად გამეორდებოდა, მას ატიკიდან 10 წლის ვადით აძევებდნენ.

პერიკლე და ათენის „ოძროს ხანა“

დემოკრატიის საბოლოოდ ჩამოყალიბება ათენში დაკავშირებულია პერიკლეს სახელთან. იგი 15 წელს (444-429) უცვლელად იყო ათენის სტრატეგოსი (მთავარსარდალი), მართავდა პრინციპით: „ჩვენ ვქმნით დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ არა დროის მცირე მონაკვეთისათვის“.

პერიკლეს დროს:

- ათენის უმაღლესი მმართველი ორგანო იყო **სახალხო კრება – ეკლესია**. კრებაში 20 წელს ზემოთ ყველა ათენელი მამაკაცი მონაწილეობდა. კრება ყოველ მეათე დღეს იკრიბებოდა აკროპოლისის მახლობლად, მოგვიანებით კი ათენის თეატრში. ათენელთა აზრით, ათენის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო გასძლიოდა კრებას, ამიტომ კრების თავმჯდომარეს წილისყრით ნიშნავდნენ.

წილისყრაში ყველა მოქალაქე მონაწილეობდა. სახალხო კრება წყვეტდა ათენის პოლიტიკის, ფინანსების, ომისა და ზავის საკითხებს, უსმენდა უცხოელ ელჩებს. კრებაზე ყველა ათენელს შეეძლო ნებისმიერი, თუნდაც ყოფითი საკითხის წამოჭრა. საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა ღია ან ფარული კენჭისყრით.

სახალხო კრებაზე განსახილველ კანონებს ამზადებდა ხუთასთა საბჭო – ბულე. იგი განიხილავდა აგრეთვე თანამდებობის პირთა საქმეებსაც. სახალხო კრება ერთი წლის ვადით ირჩევდა სახელმწიფო მოხელეებს, რომლებსაც ორჯერ ზედიზედ თანამდებობის დაკავების უფლება არ ჰქონდათ. გამონაკლისი იყო პირველი სტრატეგოსის, ანუ მთავარსარდალის თანამდებობა.

სასამართლოს, ანუ ნაფიცთა საბჭოს მთელი ათენი ირჩევდა. მოსამართლენი არა მარტო ათენში, არამედ ათენის მოკავშირე ქალაქებშიც იყვნენ. არც ერთმა ბრალდებულმა არ იცოდა წინასწარ, თუ რომელი მოსამართლე განიხილავდა მის საქმეს, რაც ქრთამის აღებას გამორიცხავდა. ვეკილი, ანუ ბრალდებულის დამცველი მაშინ არ არსებობდა. სასამართლოზე თავს თვით ბრალდებული ან მისი ნათესავი იცავდა.

- ათენის თავდაცვა და სამხედრო საკითხები ეხებოდა სტრატეგოსთა კოლეგიას. მასში 10 სტრატეგოსი, ანუ სარდალი მონაწილეობდა, რომელთაგან ერთი მთავარი იყო. პერიკლეს დროიდან სტრატეგოსთა კოლეგია განაგებდა დიპლომატიურ და ყოველგვარ სახელმწიფო საქმეებს.

ძველ ათენელებს სწამდათ, რომ პოლისს ადამიანები ქმნიან და არა დამცავი გალავნები ან მეომრების გარეშე დარჩენილი საბრძოლო ხომალდები.

- 451 წელს პერიკლემ გამოსცა კანონი **„წმინდა მოქალაქეობა“**, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, ვინ იყო ათენის მოქალაქე: ყველა მამაკაცი, რომელსაც მამა ათენელი ჰყავდა, ხოლო დედა ასევე ათენელის შვილი იყო. ბავშვის მამობის აღიარება მისი დაბადებისთანავე უნდა მომხდარიყო, რომ მას მოქალაქეობა მიეღო. ათენელი მოქალაქეობას კარგავდა ბრძოლაში გამოჩენილი ლაჩრობის, ქურდობის, ვალების გადაუხდელობის, ღმერთების უპატივცემულობის გამო.

პერიკლემ გააუქმა ათენელებისთვის ყველანაირი საარჩევნო შეზღუდვა. იგი თვლიდა, რომ ღარიბი ადამიანი ვერ იქნებოდა კარგი სახელმწიფო მოხელე. ამიტომ მან ძვ. წ. 451 წელს პირველად შემოიღო ხელფასი თანამდებობის პირისათვის. ხელფასი დაწესდა არა მხოლოდ თანამდებობაზე, არამედ სხდომაში მონაწილეობისთვისაც. ეს ზრდიდა დემოსის მოვალეობებს. ათენის მდიდარი მოქალაქეები ვალდებული იყვნენ, ერთი წლის განმავლობაში თავის თავზე აეღოთ ერთი საბრძოლო ხომალდის აღჭურვის ან თეატრალური წარმოდგენების ხარჯები.

ათენის მოქალაქეობას და, შესაბამისად, პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული იყვნენ ქალები, ბავშვები, მონები და უცხოელი თავისუფალი მოქალაქეები – **მეტოიკები**. ამგვარად, 400 000 ათენელიდან ათენის მოქალაქედ მხოლოდ 40 000 კაცი ითვლებოდა.

სოლონი

კლისთენე

პერიკლე



სპარტა

ათენისგან განსხვავებული იყო სამხრეთ საბერძნეთის პოლისური საზოგადოება. ძვ. წ. XII ს.-ში დორიელთა ტომებმა პელოპონესის სამხრეთით ლაკონიის მიწები დაიპყრეს. აქ ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ცენტრი იყო სპარტა. მოგვიანებით სპარტელებმა მიწების სიმცირის გამო მეზობელი მესენიის მიწები დაიპყრეს. სპარტაში ათენისგან განსხვავებული მმართველობა არსებობდა.

სპარტას ნამდვილი პოლისისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული მმართველობა ჰქონდა, თუმცა მის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი გალავანშემოვლებული ქალაქი. სპარტელები დანაწილებული იყვნენ ხუთ დასახლებაში, რომლებიც უფრო სოფლებს წარმოადგენდა, ვიდრე ქალაქებს.

სპარტის საზოგადოება სამი დიდი ჯგუფისგან შედგებოდა: 1) დაახლოებით 10 000 სპარტელი სრულუფლებიანი მოქალაქე იყო. მათ „**თანასწორებს**“ უწოდებდნენ, რადგან ყველას ერთი სიდიდის მიწის ნაკვეთი ჰქონდა; 2) **ჰილოტები** – დაპყრობილი მესენიელები სპარტელებმა თავიანთ სასარგებლოდ მომუშავე ჰილოტებად, ანუ მიწის მუშებად, აქციეს, თუმცა საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან არ აუყრიათ. მათი რიცხვი 200 ათასს შეადგენდა. ჰილოტები საკუთარ მიწის ნაკვეთებს ამუშავებდნენ და „თანასწორებს“ მოსავლის ნახევარს უხდიდნენ. 3) **პერიეკები** – ქალაქის განაპირას მცხოვრები ვაჭარ-ხელოსნები, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ. სპარტელები მათ დაცინვითა და ზიზღით ეპყრობოდნენ. სულ სპარტაში დაახლოებით 60 ათასი პერიეკი ცხოვრობდა. ყველა სპარტელი შედიოდა „თანასწორთა თემში“. ისინი მხოლოდ სამხედრო და სახელმწიფო საქმეებით იყვნენ დაკავებული, ხოლო საარსებო წყაროს ჰილოტების შრომის წყალობით იღებდნენ.

სპარტა **სამხედრო-ოლიგარქიულ** სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. მისი პირველი კანონების შემდგენლად ლეგენდარული პიროვნება, **ლიკურგე** ითვლება. სპარტას ორი ბასილევსი (მეფე) მართავდა. ისინი მემკვიდრეობით იღებდნენ მეფის ტიტულს. 30 წლის ზემოთ სპარტელი მამაკაცები ესწრებოდნენ სახალხო კრებას, ანუ **აპელას**. აპელაზე დასწრების უფლება მხოლოდ სრულუფლებიან მოქალაქეებს ჰქონდათ. კრება უხუცესთა საბჭოს (პერუსიის) წევრებს – **28 ჰერონტს** არისტოკრატიის წრიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე ირჩევდა. თუმცა სახელმწიფოს მმართველობის საკითხებში აპელას ინიციატივის გამოჩენის უფლება არ ჰქონდა. კრებას შეეძლო ან მიეღო, ან უარეყო მეფისა და ჰერონტების მიერ შეთავაზებული საკითხები. სპარტის სახალხო კრებაზე ყოველწლიურად ირჩევდნენ **5 ეფორს** (ზედამხედველს). ისინი მეთვალყურეობდნენ მეფისა და ჰერონტების საქმიანობას. მათ თვით მეფის დაპატიმრების უფლებაც კი ჰქონდათ. ჰერონტებისა და ეფორების არჩევას კრებაზე ხალხის ყვირილის მიხედვით ადგენდნენ – ვისი დასახელებისასაც უფრო ხმამაღლა იყვირებდნენ, არჩეულიც ის იყო.

მსოფლიოს მრავალ ენაში დამკვიდრებული ტერმინი „ლაკონიზმი“ აზრის მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმას ნიშნავს. სპარტელებს ბავშვობიდანვე სიტყვაძუნწობას აჩვენებდნენ. სამარის ქვებზე სპარტელები მხოლოდ გარდაცვლილის სახელს აწერდნენ, ხოლო ბრძოლაში დაღუპულის საფლავის ქვას მოკლე განმარტებას ურთავდნენ – „ენ პოლემო“, ანუ „ბრძოლაში“. ათენისგან განსხვავებით, სადაც ქალებს არავითარი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ და ჩაკეტილ, ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდნენ, სპარტაში მათ შედარებით მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვინაიდან ისინი სამშობლოს მომავალ მეომრებს უზრდიდნენ. საბერძნეთის სხვა პოლისებისგან განსხვავებით სპარტაში, სახელმწიფო იმდენად აკონტროლებდა მოქალაქის პირად ქონებას, რომ აზრი დაკარგა გამდიდრებისკენ მისწრაფებამ. დიდი ხნის განმავლობაში სპარტაში ფულიც კი არ იჭრებოდა და მის ნაცვლად კვერის ფორმის რკინის ზოდებს იყენებდნენ. უცხოელთა ზეგავლენის შიშით სპარტელები კრძალავდნენ ყოველგვარ საგარეო ვაჭრობას; იკრძალებოდა უცხოელის სპარტაში ცხოვრება, არც სპარტელს არ უნდა ეცხოვრა სამშობლოს გარეთ.